

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 22 თებერვლის
დადგენილება № 395

საგამომცემლო სახლ „ტექნიკურ უნივერსიტეტში“
წიგნის მხატვრული კონსტრუირების (დიზაინის)
ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ადგენს:

1. საგამომცემლო სახლ „ტექნიკურ უნივერსიტეტში“ შეიქნას
წიგნის მხატვრული კონსტრუირების (დიზაინის) მუდმივმოქმედი
ჯგუფი;

2. ჯგუფის ძირითად ამოცანებად განისაზღვროს:

1) გამომცემლობასთან მუდმივი კონტაქტი: რჩევები და დარგობრივი
კონსულტაციები წიგნის მხატვრული კონსტრუირების (დიზაინის)
საკითხებში;

2) მუდმივი მონიტორინგი სტუ-ის საგამომცემლო სახლ „ტექნიკური
უნივერსიტეტის“ მიერ გამოცემულ ბეჭდურ პროდუქციაზე, წიგნის
მხატვრული კონსტრუირების (დიზაინის) ხარისხის შეფასების
თვალსაზრისით.

3. ჯგუფის ხელმძღვანელი და სწავლული მდივანი არჩეულ
იქნეს ჯგუფს პირველსავე შეკრებაზე;

4. ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოები აღირიცხოს
დღიურის, ანუ დროდადრო გაკეთებული ჩანაწერების სახით;

5. ჯგუფი ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

1) გიორგი სალუქვაძე - არქიტექტურა;

2) მზია მილაშვილი - დიზაინი;

3) ემირ ბურჯანაძე - მხატვრობა;

4) ნანა ჩაჩუა - ფსიქოლოგია;

- 5) იგორ კვესელავა - სოციოლოგია;
- 6) ალექსანდრე გრიგოლიშვილი - პოლიგრაფია;
- 7) გიორგი ჯერენაშვილი - პოლიგრაფია;
- 8) მარინა მეძმარიაშვილი - პოლიგრაფია;
- 9) მედეა ბაზაძე - მართლწერა და მართლმეტყველება;
- 10) იური მეჩითოვი - ფოტოხელოვნება;
- 11) ანტისა დეისაძე - ფოტოხელოვნება;
- 12) ანზორ შავგულიძე - ინჟინერია.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა.ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ.სალუქვაძე